



ბრძანება N 54

„20“ 03 2017 წელი

ქ. თბილისი

საგნის გამოცდისთვის გათვალისწინებულ ტესტირებაზე სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში რეგისტრაციის გამოცხადებისა და სარეგისტრაციო განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 52-ე მუხლის, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილების, „საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 14 მარტის N46/წ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის №714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №163/წ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, „ო“ ქვეპუნქტის, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის საინფორმაციო კოორდინატორის 2017 წლის 20 მარტის N260575 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს საგნის გამოცდისთვის გათვალისწინებულ ტესტირებაზე სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) რეგისტრაცია 2017 წლის 20 მარტიდან 05 აპრილის ჩათვლით.
2. დამტკიცდეს საგნის გამოცდისთვის გათვალისწინებულ ტესტირებაზე ცენტრში წარსადგენი სარეგისტრაციო განცხადების ფორმა თანდართული სახით.
3. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება ცენტრის ვებგვერდზე - tpdc.gov.ge განთავსებისა და ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსების გზით.
4. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6.)

გიორგი მაჩაბელი
 დირექტორი

განცხადების ფორმა

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საგნის გამოცდისთვის გათვალისწინებულ ტესტირებაზე რეგისტრაციის შესახებ

პირის პირადი მონაცემები:

სახელი:		გვარი:	
პირადი ნომერი:	<input type="text"/>	პირადობის მოწმობის ნომერი:	<input type="text"/>
	რიცხვი <input type="text"/>	თვე <input type="text"/>	წელი <input type="text"/>
დაბ. თარიღი:	<input type="text"/>	სქესი:	<input type="text"/>
კვალიფიკაცია	<input type="text"/>		

პირის საკონტაქტო მონაცემები:

რეგიონი:	<input type="text"/>	რაიონი:	<input type="text"/>	საფოსტო კოდი:	<input type="text"/>
ფაქტობრივი მისამართი (ქალაქი/სოფელი, ქუჩა, სახლის ნომერი):					
საკონტაქტო ტელეფონი(ები):					

ჩასაბარებელი ტესტი/საგანი:

1	<input type="text"/>
---	----------------------

თანდართული საბუთების ნუსხა

1	პირადობის მოწმობის ასლი	
2	განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი	

ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი უტყუარია.

ხელმოწერა: _____

თარიღი: ____ / ____ / ____ წ.